4 (09)
ო-466

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ თენგიზის ასული ომიაძე

პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში

10.02.02 – ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა

თბილისი
1998

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ თენგიზის ასული ომიაძე

ჰარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში

10.02.02 – ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

-6991-

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციისა

თბილისი
1998

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში.
სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ რამიშვილი**

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **იზაბელა ქობალავა**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე კარტოზია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **თინათინ ბოლქვაძე**

წამყვანი ორგანიზაცია — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლეთ ევროპის ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1998 წლის 22 დეკემბერს, 12 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის p.10.02 c №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380008, თბილისი, პ. ინგოროყვას ქ.№8.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 19 ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი **ქ. დათუკიშვილი**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. პარალინგვისტიკა ლინგვისტიკის შედარებით ახალი დარგია. მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფცია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ქართულ ენათმეცნიერებაში ის არც თეორიულად და არც ემპირიულად დღემდე არავის უკვლევია. წინამდებარე ნაშრომი პრობლემის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

ნაშრომის მიზანია (1) პარალინგვისტიკის ენათმეცნიერული სტატუსის დასაბუთება, მისი ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ენათმეცნიერების კომუნიკაციურ პარადიგმაში; (2) ქართულ სამეტყველო ურთიერთობაში ჩართული ფონაციურ-კინესიკური საშუალებებისა და მათი ენობრივი გამოხატულების გამოვლენა, კლასიფიკაცია და ანალიზი; (3) პარალინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების განსაზღვრა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. კვლევის შედეგად გამოვლენილია: (1) მეტყველებაში ჩართული ფონაციური, პროქსემიკური, კინესიკური და ბიოსემიოლოგიური ელემენტების სისტემები; შესწავლილია მათი როლი სამეტყველო აქტში გაგება-გაგებინებისა და ზემოქმედების თვალსაზრისით; (2) დაძებნილია უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ფრაზეოლოგიზმში, როგორც კინემის ენობრივ აღწერაში. დადგენილია, რომ იდიომატურობის საფუძველი ირეალური მოქმედების ვერბალური გამოხატულებაა, რაც ფრაზეოლოგიზმის იდიომად კვალიფიცირების კრიტერიუმიც შეიძლება იყოს.